დიდი ზეიმი ეზიურ აჭარაში

მოგილოცავთ საქმოგლოს დიდ ჯილდოს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივლისი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში

(დასასრული)

საზეიმო მარშის ხმებში დარბაზში შემოდის აჭარის ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთა, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფი.

ჯგუფს მოუძღვიან სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ქ. ბახტაძე, სოციალისტური შრომის გმირი, ხილვაჩაურის რაიონის სოფელ ირგის კოლმეურნეობის მეჩაიე გ. ჭანიძე, ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის მუშა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. მალაფაძე, ძველი ბოლშევიკი ა. კილასონია, ჭობულეთის რაიონის სოფელ ხიჭიჭნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ბაჯელიძე. მათ მოაქვთ აჭარის ასსრ დროშა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ვ. პ. მეკვანაძემ სამშობლოს მაღალი ჯილდო მიაბნია რესპუბლიკის დროშას.

დარბაზში გაისმის მისასალმებელი შეძახილები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

შემდეგ ვ. პ. მეკვანაძემ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისადმი, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

დარბაზში ვლავ ქუხს ტაში.

შემდეგ ვ. პ. მეკვანაძემ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმს გადასცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი დეპეშა.

ჩვენ შევიკრიბეთ ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავ დროს, დიდ და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა დროს, აბობს ვ. პ. მეკვანაძე განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ის, რომ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს ჩვენ ვზეიმობთ საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს შემდეგ. ეს ერთგვარად ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით მიაღწია აჭარამ თავის ნამდვილ აყვავებას. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ასეთ მძლავრ აღმავლობას.

აჭარის მშრომელებმა არაერთი სახელოვანი, უჭკნობი ფურცელი ჩაწერეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიაში, თანაც სამამულოთო გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს.

ბათუმის პროლეტარიატმა რევოლუციური ბრძოლის ბრწყინვალე სკოლა განვლო ჯერ კიდევ პირველ მარქსისტულ ჯგუფებში. ეს ჯგუფები, როგორც ცნობილია, შექმნეს ჩვენი პარტიის თვალსაჩინო რევოლუციონერმა მოღვაწეებმა ი. სტალინმა, ლ. კეცხოველმა, ა. წულუკიძემ, ფ. მახარაძემ, მ. ბოჭორიძემ, პ. ჯაფარიძემ, ო. კოკანმა, ნ. კოზერნკოვმ, ი. ლუზინმა და სხვებმა. ბათუმის მუშების, ისევე როგორც აჭარის ყველა მშრომელის, რევოლუციურმა სულისკვეთებამ განსაკუთრებით იჩინა თავი იმ დაუვიწყარ ისტორიულ დღეებში, როცა საქართველოში მეზეზეობა ბატონობას უკანასკნელი გამანადგურებელი ლაბვარი ჩაეცა.

18 მარტს მეზეზეიკები განდევნილ იქნენ თავიანთი უკანასკნელი თავშესაფრიდან.

თავიანთი რევოლუციური სახელოვანი ტრადიციების ერთგულმა აჭარის მუშებმა, საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გმირი წითელი არმიის დახმარებით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

მრავალტანჯულ აჭარის მოწაფალზე აფრიალდა დიდი ოქტომბრის დროშა, პროლეტარული რევოლუციის ძლევამოსილი დროშა. საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის მშრომელები გადაარჩინა უცხოელთაგან დამონების, საბოლოო გაჩანაგებისა და ფიზიკური მოსპობის საფრთხეს. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დიდმა ოქტომბერმა მთლიანად გაიმარჯვა საქართველოში, და მშრომელთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას ერა, ხოლო ოთხი თვის შემდეგ, 1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

იმ დღიდან 50 წელი გავიდა. ისტორიისათვის ეს დრო, მართლაც, დიდი არ არის, მაგრამ დღეს ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, რა განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა ამ ხნის მანძილზე აჭარაში!

მე. ამხანაგებო, დაწვრილებით აღარ შევჩერდები აჭარის მშრომელთა მიერ გავლილ ამ სახელოვან ნახევარსაუკუნოვან გზაზე. ამხანაგმა ალექსანდრე თხილაიშვილმა შესანიშნავად ილაპარაკა ამაზე თავის საინტერესო მოხსენებაში.

მეფის რუსეთის ყოფილი განაპირა მხარიდან საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხიდან აჭარა, რომელმაც ბოლო მოუღო საუკუნეობრივ ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ ჩამორჩენილობას, გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. თანამედროვე ინდუსტრიისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

ხაზგასმით რომ აღნიშნონ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ზრდა, როგორც მოგეხსენებათ, მიღწეულებრივ, ადარებენ ხოლმე რევოლუციამდელ პერიოდს, მეტწილად 1913 წელს. ამგვარ შედარებებს რომ მივმართოთ, თითქმის ასტრონომიული ციფრები გამოგვივა, მაგრამ რათ უნდა წავიდეთ ასე შორს, როცა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზეც აქ, როგორც ყველგან, სწრაფი ზრდა მოხდა? და საბჭოთა აჭარის მშრომელთა ცოცხრებისა და შრომის თვითეული წელს მოაქვს ახალი გამარჯვებანი, ახალი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

აი სწორედ ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ჩვენი პარტიის X ყრილობის დახურვისას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ თქმული დაუვიწყარი სიტყვები:

„წარკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? — ჰკითხა ლენინმა ყრილობის დელეგატებს და იქვე გულდაჯერებით დასძინა, — თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე“.

როგორც ცნობილია, ლენინის ეს სიტყვები მალე ახდა. ნავთობსადენი ბათუმამდე გაყვანილ იქნა. და ამ ნავთობსადენით დღემდე მიდის ნავთობი ბათუმის ნავთობგადამუშავებელ ქარხანაში, რომელიც საბჭოთა აჭარის სოციალისტური ინდუსტრიის პირმშოა.

და ამ პირმშოდან უახლესი ტექნიკით აღჭურვილ მრავალ ათეულთანამედროვე სამრეწველო საწარმომდე — ასეთია მისი ინდუსტრიის ზრდის გზა. ამავე ზრდას მოწმობს მრეწველობისათვის. ელექტროენერგეტიკა და ელექტრიფიკაციისათვის. ულოკვეშფრთიან კატარღის, სამედიცინო პრეპარატებს, ჩაის. ეს პროდუქცია მიდის არა მარტო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, არამედ შორს, მის ფარგლებს გარეთაც — საზღვარგარეთის 40 ქვეყანაში.

დღეს სასახარულოა ერთხელ კიდევ აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს აჭარის მრეწველობამ მიაღწია განვლილ ხუთწლეულში, ვიდაშე 1970 წლის 11 ნოემბრისათვის, შეასრულა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა.

საუცხოოდ დაიწყო ახალი ხუთწლედიც. როგორც ცნობილია, აჭარის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა.

ჩვენ ყველას გვახარებს აჭარის სოფლის მეურნეობის წარმატებანი. ხაბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარა გადაიქცა სუბტროპიკების ზღაპრულ ბაღად, და ახლა აქ გაუვალი ჭაობების ადგილას გადაჭიმულია ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. რა არ მოპყავთ აქ — დაფნა გინდათ თუ ტუნგო, თამბაქო თუ უურძენი, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურები.

განვლილ ხუთწლედში მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია სოფლის მეურნეობამ. გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად მეტი მოიკრიფა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ლენინის საიუბილეო წელს მიღწეულია ჩაის ყველაზე მაღალი მოსავიანობა მსოფლიოში — საშუალოდ 6 ათასამდე კილოგრამი ბეჭტარზე. ხოლო კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ ჰექტარზე ათასი კილოგრამამ მოკრიფა. ახლა მეჩაიეებს შრომას ცოტას მაინც შეუმსუბუქებს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

საბჭოთა აჭარას შეუძლია ამაყოს იმით, რომ იგი იძლევა საქართველოში წარმოებული ციტრუსოვანთა 70-მდე პროცენტს.

ასევე სოფლის მეურნეობის ამ ძვირფასი კულტურების დარგში ბევრად გადაჭარბებულია განვლილი ხუთწლედისა და განსაკუთრებით ლენინის საიუბილეო წლის დავალებანი. აჭარის მეჩაიეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში: ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა აქ, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

მინდა განსაკუთრებით გავსვა ხაზი, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეს წარმატებანი აჭარის გმირი მუშათა კლასისა და შესანიშნავი კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომის შეიგეგია, რომ ყოველივე ეს მათი შრომისმოყვარე, გამრჯე ხელის ნაყოფია.

და ამისათვის დიდი, გულითადი მადლობა, პატივი და დიდება მათ!

როგორც უკვე ვთქვი, ამხანაგებო, გასახარია, რომ ჩვენ ახალი ხუთწლედი ნამდვილად კარგად დავიწყეთ. ამოცანა ახლა ის არის, რომ ასევე წარმატებით დავამთავროთ მთელი ეს სამეურნეო წელი და ამით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებას, მთლიანად ავიღოთ მეცხრე ხუთწლედის გეგმით დასახული ახალი ზღვრიები.

ეს ზღვრეები კი საკმაოდ მაღალია: სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა უნდა გავზარდოთ 30 პროცენტით და მეტად; მწყობრში უნდა ჩავაყენოთ ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი კომპლექსი, ავაგოთ კიდევ ერთი, სათვალავით მე-15, ჩაის ფაბრიკა ქობულეთის რაიონში, მოვახდინოთ მანქანათსამშენებლო და რძის ქარხნების, ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ და ფეხსაცმლის ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე. მათ უნდა გადადგონ ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, თამბაქოს, ყურძნის, ბოსტნეულის, ხილის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების დამზადება.

ხაბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული კულტურული მშენებლობის დარგში.

50 წლის წინათ აქ წერა-კითხვა იცოდა მოსახლეობის მხოლოდ შვიდმა პროცენტმა. ახლა აჭარა მთლიანი წიგნიერებისა და მაღალი კულტურის მხარეა. აჭარას აქვს სკოლების ფართო ქსელი, უმაღლესი სასწავლებელი, საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საშეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ჭეშმარიტ აყვავებას მიაღწია აჭარაში ლიტერატურამ, თეატრალურმა, მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ, ფერწერამ, ქანდაკებამ.

დღეს ყველასათვის ნათელია ის თვალსაჩინო წვლილი, რაც ჩვენი საერთო ეროვნული კულტურის, ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებაში შეაქვთ აჭარის ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების ნიჭიერ წარმომადგენლებს.

და ამისათვის დიდი, გულითადი მადლობა, პატივი და დიდება მათ!

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდად იცვალეს სახე აჭარის ქალაქებმაც და სოფლებმაც. აშენდა ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სასტუმროები, კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, საავადმყოფოები. და ახლა აჭარა მთლიანად დაფარულია ახალმშენებლობათა ხარაჩოებით. იგი კვლავ შენდება და იზრდება.

აი როგორ აგვიწერს ძველ ბათუმს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე:

„ბათუმის ქალაქი ასიოდე სახლს და ქოხს ჰქვიან. ზოგი მათგანი დაბწნილი და შეტეკნილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია — ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება და ქვითკირი, მგონი, უფრო იმიტომაა აშენებული, რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვაზ, ვინემ კაცს თავი შეაფარვინონ“.

ახლა კი ამ ძველი ბათუმის ადგილას გაიზარდა ახალი, თანამედროვე ლამაზი მშენეერი ბათუმი თავისი მაღალი სახლებით, ფართო პროსპექტებითა და სანაპიროებით, მწვანე ხეივნებითა და პარკებით.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე შესანიშნავი მონაპოვარია ის, რომ იშვა ახალი ადამიანი, შრომაში შეუპოვარი და დაუღალავი, ბრძოლაში შემმართებელი და მამაცი, იმის უნარის მქონე, რომ სძლიოს ყოველი სიძნელე და გამარჯვებული გამოვიდეს ყოველი განსაცდელიდან. და სამშობლო დიდად აფასებს თავისი ერთგული შვილების შრომასა და მგზრობას.

ბევრ თქვენგანს, რა თქმა უნდა, წაუკითხავს ცნობილი პუბლიცისტის თეოდ სახოკიას წიგნი „მოგზაურობა აჭარაში“.

გახსოვთ, როგორ აგვიწერა მან თავისი შეხვედრა სოფელ ფურთიოს მცხოვრებ იუნუს ბერიძესთან, რომელიც შემდეგ გზაში ხლებია მას.

იუნუსი სასიამოვნო მოუბარი აღმოჩნდა და, სახოკიას რომ ემშვიდობებოდა, უთხრა: „დიდი ჯაფა გავსწიე, ბატონო, ამ გზების გაკეთებაზე, (მხედველობაში ჰქონდა ხულო-ფურთიოს გზის მონაკვეთი). ხულოში მითხრეს, თქვენ ქითაბებსა (წიგნებს) წერთო და ქალაქში „ლენინერნატორს“ იცნობთო.

როცა დაბრუნდებით, ჩემი სახელი ქითაბში ჩაწერეთ და ლენინერნატორს სთხოვეთ ერთი მენდალი მიბოძოს ამდენი შრომისა“.

როგორც უკვე ვიცით, თეოდო სახოკიამ თავის წიგნში შეიტანა იუნუს ბერიძის სახელი. რაც შეეხება მედალს, სახოკიამ მის თხოვნაზე ასე უპასუხა:

„ჩვენს დროში ძნელია მედლის მიღება“.

იმედგაცრუებულმა ბერიძემ გაბრაზებით ჩაიქნია ხელი და თქვა:

„კაცი ის არის, ვიხაც მენდალი აქვს“.

ამხანაგებო, ნათქვამს ისღა უნდა დავუმატო, რომ სრულიად უწიგნური იუნუს ბერიძის შვილების ბედი სულ სხვანაირი გამოდგა, ვიდრე მისი საკუთარი ბედი.

მისი ვაჟი ლეონ ბერიძე, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, ამჟამად მუშაობს შუახეთის რაიონის იმავე სოფელ ფურთიოს საშუალო სკოლის დირექტორად და დაჯილდოებულია ორი მედლით. ლეონ ბერიძეს თერთმეტი შვილი ყავს. რომელთაგან ექვსს უმაღლესი განათლება აქვს. ისინიც მასწავლებლები არიან, დანარჩენს — ზოგადსაშუალო განათლება აქვს, ზოგი სწავლობს.

ასე რომ იუნუს ბერიძის შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთა შვილებმა (სულ კი მისი შთამომავლობა 192 კაცს ითვლის) ნახეს ის, რაზეც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა — ესწავლა წერა-კითხვა, მიიღო განათლება, დაჯილდოებული ყოფილიყო თავისი შრომისათვის.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ამჟამად აჭარაში თითქმის 200 სოციალისტური შრომის გმირია და 4 ათასამდე კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

აჭარა კოლორტების მხარეა. შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით აღიმართა შესანიშნავი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურისტული ბაზები. ჯანმრთელობის ისეთი კერები, როგორიც არიან ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე ონცხი, ციხისძირი, მთელ საბჭოთა კავშირში გახდნენ ცნობილი. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოდიან დასასვენებლად და ჯანმრთელობის განსამტკიცებლად.

სახელი აჭარისა, როგორც საზღვარ ქვეყნისა, კიდევ უფრო განამტკიცა იმან, რომ ბათუმში შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომელიც დიდად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმით დღეს 36 ხომალდი დაცურავს, ხოლო ახალ ხუთწლედში სანაოსნოს კიდევ 30 ხომალდი შეემატება. ბათუმიდან გემები მიდიან შორეულ მოგზაურობაში, აკავშირებენ აჭარას სხვადასხვა ქვეყნებსა და ნაოსნობის სხვადასხვა კუთხეებთან.

ნახევარი საუკუნის მანძილზე [illegible] მშრომელებმა ბრძოლისა და გამარჯვების [illegible] ბილეს აჭარის პარტიული ორგანიზაციის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობით.

ამ ღირსსაზსოვარ დღეს მინდა ვუსურვო აჭარის კომუნისტებს, რომ კვლავაც იდგნენ თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ავანგარდში, რომ უფრო მტკიცედ დაირაზმონ ახალი მნიშვნელოვანი წარმატებების მოსაპოვებლად კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ყველაფერი, რასაც მიაღწია და რაც მოიპოვა საბჭოთა აჭარამ 50 წლის მანძილზე მთელ ქართველ ხალხთან ერთად, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ერთიან, მეგობრულ, ძმურ ოჯახში, შედეგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობისა, შედეგია ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, მათი ურთიერთდახმარების, ურთიერთგავლენის, ურთიერთგამდიდრების პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისა.

საბჭოთა აჭარის დღევანდელი იუბილე იმის ნათელი, თვალსაჩინო დადასტურებაა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავს საბჭოთა ხალხების ოჯახი ეგებება ჩვენი შშომელიური კომუნისტური პარტიის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებული.

დასასრულ ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცოთ ყველას, თქვენი სახით კი მივულოცოთ საბჭოთა აჭარის ყველა მშრომელს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას აჭარის ახალგაზრდობას სახელოვანი იუბილე და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოება.

მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ აჭარის კომუნისტები, ყველა მშრომელნი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, მთელ თავიანთ ძალებს, მთელ თავიანთ ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის ყოველმხრივ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ აღმავლობას.

„გაუმარჯოს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვან 50 წლისთავს!

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს აჭარის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომის, კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო სამეჭეი მაჯი წელილის დიდი დაფასებისთვის. მან პირობა დადო, რომ რესპუბლიკის მშრომელები ილიდოს უპასუხებენ შემოქმედებითი ენერგიის, ახალი ალმაღლობით, იმით, რომ კიდევ უფრო გაძლიან სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სახეიმო სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ბოჭოიძე, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე, ამერკავკასიის ფიფოელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ა. მიშაგინი, წითელროშოვანი შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ვ. სისოევი, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ლაკაია, ბაკოს სამაგრო თავდაცვის ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ბირეკაო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან ა. თალაკვაძე, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. მოდებაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქ. გოგიტიძე, ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ი. ნაგლი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

ორატორებმა ილაპარაკეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და ძმობაზე, იმ დიდ შრომითა და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომელიც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. მათ მიულოცეს აჭარის მშრომელებს დიდი დღესასწაული და უსურვეს ახალი გამარჯვებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

სახეიმო სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ აჭარის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

აჭარის ასსრ მშრომელთა სახელოვან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა სტუმრებს გულითადი მილოცვებისათვის იუბილეს გამო.

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით, ტაშის გრიალში მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. მისალმება გაუგზავნეს ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

დარბაზობა აჭარის ასსრ რესპუბლიკის 50 წლისთავის აღსანიშნავად

ბათუმი, 16 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და აჭარის მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, აჭარის სტუმრები, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ.

აჭარის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად გამართულმა დარბაზობამ განსაკუთრებული გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

იქაშკაშე, სპარტაკიადის ცეცხლო!

საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებანი

ღღესასწაული, რომლისთვისაც ემზადებოდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები — სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა საზეიმო გახსნა, შედგა 16 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვში.

სპარტაკიადები თავისი ბანანებით უბადლო კომპლექსური შეჯიბრებებია. ისინი წარმოშობილია ფიზიკური კულტურის ჩვენი სისტემით, რომელიც პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების აუცილებელი ნაწილი გახდა. მასობრივი სასპარტაკიადო შეჯიბრებანი ჯამართა საწარმოების, მშენებლობების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა ფიზკულტურულ კოლექტივებში. მათში მონაწილეობა მიიღო 4 მილიონზე მეტმა კაცმა ესე იგი ჩვენი ქვეყნის ყოველმა მეხუთე მცხოვრებმა.

საქალაქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებში დამყარებულია სსრ კავშირის 186 რეკორდი, რომელთაგან ბევრი ევროპისა და მსოფლიო მიღწევებს აჭარბებს. ფლინსხვრის განმავლობაში, რაც ჩვენს ქვეყანაში მეხუთე სპარტაკიადად მიმდინარეობდა, აშენდა ბევრი სპორტული ნაგებობა, გამონახულია ფიზკულტურასა და სპორტში ადამიანთა ჩაბმის ახალი ფორმები. მარტო გასულ წელს მწყობრში ჩადგა 2.400 სპორტული დარბაზი. მეტი შეჯიბრებები ეწყობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღიარებულია და პოპულარობით სარგებლობს ქუჩების საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების სპარტაკიადები, სპორტული დღესასწაულები, რომლებშიც ყოველ ასაკის ადამიანები მონაწილეობენ.

პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა ყველა პირობა შექმნან მშრომელთა ფართო მასების მეცადინეობისათვის ფიზკულტურასა და სპორტში, როგორც ამისადმი მოგვიწოდებს „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

...ასი ათასი მოსკოველითა და დედაქალაქის სტუმრით აივსო ჩვენი მთავარი სტადიონის დიდი არენის მორთული ტრიბუნები.

სსრ კავშირის სპორტული კომიტეტის მოწვევით გახსნის დღესასწაულზე მოვიდნენ დელეგაციები — ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირისა მისი თავმჯდომარის ტ. მარტინსკის მეთაურობით, უნგრეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირისა მისი თავმჯდომარის ბ. ბაბოსის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანიზაციის კავშირის პრეზიდიუმისა პრეზიდიუმის წევრის ვ. ვასილიევიჩის მეთაურობით.

სტუმრების ლოჟებში არიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მ. ბრენდეჯი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თუმბივი გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი და იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი დ. ონ�ტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრები. ესწრებიან აგრეთვე პრეზიდენტები ბევრი საერთაშორისო ფედერაციისა სპორტის სახეობათა მისედგანი, ეროვნული სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრები. სპორტაკიადაზე ჩამოვიდნენ XX საზაფხულო ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია ვ. დაუმეს და ზამთრის XI ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია პრინც ტაკეფლას მეთაურობით.

მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ ამხანაგები ბ. ნ. ეფრემოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ფ. დ. კულაკოვი, ა. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ა. ნ. შელეპინი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. ნ. კონოვალოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

18 საათი და ოცდაათი წუთია. ისმის მუსიკა ეწყობა დღესასწაული. მეტრიშეთა ჯოლონას მოაქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დროშები, ჯოლონას მოჰყვებიან სპორტსმენები, რომლებმაც ჩვენს სპორტს სახელი მოუხვეჭეს ჰელსინკის, მელბურნის, სკოო-ველის, ინსბრუკის, რომის, ტოკიოს, გრენობლის, მეხიკოს ოლიმპიადებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ესენი არიან ვ. კუკი, ნ. ორკალენკო, პ. ბოლოტნიკოვი, ს. ბოიჩენკ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ

☐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

☐ ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲓᲐ

ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ, 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). აქ გამოაქვეყნეს ისლანდიის ახალი მთავრობის პოლიტიკური პროგრამა. მთავრობა აცხადებს, რომ განახორციელებს „უფრო დამოუკიდებელ და მტკიცე კურსს საგარეო პოლიტიკის დარგში“. კერძოდ, იგი მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღონ ორივე გერმანული სახელმწიფო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. გაიმართოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროების საკითხებზე.

პროგრამა მოწმობს, რომ აშშ-თან დადებულ თავდაცვის ხელშეკრულებას გადასინჯავენ ან გაუქმებენ.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). საგრძნობი დარტყმა მიაყენეს ნატოს სამხედრო მანქანას ისლანდიის ახალი მთავრობის განცხადებამ, რომ განზრახული აქვს გადასინჯოს „თავდაცვის ხელშეკრულება“ აშშ-თან. რათა უცხოეთის ჯარები ოთხი წლის განმავლობაში გაიყვანონ ქვეყნიდან.

კეფლავიკში (ისლანდია) მდებარეობს ნატოს სამხედრო ბაზა, რომლის პერსონალი 3.700 კაცისგან შედგება. იგი ექვემდებარება ამერიკის მხედრობის „კონტროლს, რომელიც ვითომდა „უზრუნველყოფს კუნძულის დაცვას“. სინამდვილეში — და ეს არავისთვის საიდუმლო არ არის—პენტაგონი, უკეთესი რა ეს დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული უბანი საზღვაო გზების გზაჯვარედინზე, ისახავს სულ სხვა მიზნებს, იმის მსგავსს, როგორსაც ინგლისელები და მთლიანად ნატო ისახავდნენ მალტაზე.

ფარდას ხდის რა ამას, გაზეთი „ლაბრ ბილე

სპარტაკიადა ფრთებს შლის

ახალი სტარტები, ახალი რეკორდები

მოსკოვი. 16 ივლისი, ტელეფონით („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სანამ ლუჟნიკში დიდი ზეიმი დაიწყებოდა, სპორტსმენებს მასობრივი სტარტები ჰქონდათ. ცენტრალური სტადიონის სტუმრები იყვნენ მძლეოსნები, სპორტის სასახლისა — შტანგისტები. სტარტები აიღეს აგრეთვე კლასიკურმა მოჭიდავეებმა, სამბისტებმა, ნიჩბოსნებმა ბაიდარკებითა და კანოეთი, საგზატკეცილო ველოსიპედისტებმა, გაანსლეს ბრძოლა კალათბურთელებმა.

თუ აქამდე სატურნირო ცხრილში ცვლილებები არ მომხდარა, ვორონეჟსა და უფაში შემდგარმა ასპარეზობებმა ერთგვარი გადაადგილება მოახდინა. აი როგორ გამოიყურება დღეისათვის რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების სატურნირო მდგომარეობა. ლიდერია უკრაინის ნაკრები, რომელსაც 183,5 ქულა აქვს. მოსკოვის გუნდის აქტივშია 172 ქულა, რსფსრ-ის ნაკრებს 133 ქულა აქვს. აი სხვა გუნდების შედეგები: ლენინგრადი — 128 ქულა, ესტონეთი — 124, ბელორუსია — 78,5, საქართველო — 78, ლიტვა — 49,5, აზერბაიჯანი — 30, მოლდავეთი — 23, ყირგიზეთი — 10, ლატვია — 9, ყაზახეთი — 6,5, სომხეთი — 6,5, ტაჯიკეთი — 4, უზბეკეთი — 3,5. თურქმენეთს ჯერ-ჯერობით არცერთი ქულა არა აქვს.

უფაში ასპარეზობა დაამთავრეს ჭაბუკმა ტანმოვარჯიშეებმა. უძლიერესი იყო ბელორუსის წარმომადგენელი ვ. შჩუკინი, რომელმაც მრავალჭიდში 110,6 ქულა შეაგროვა. წარმატებით გამოვიდა საქართველოს ტანმოვარჯიშე დინამოელი პ. შამუგია — 109,65 ქულით მან მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის medali დაიმსახურა. მესამე იყო ვ. მარჩენკო (რსფსრ) — 109,35 ქულა; ლიდერთა გუნდური მაჩვენებელი ტანვარჯიშში ასეთია; ბელორუსია — 439,45 ქულა, რსფსრ — 437,5 ქულა, მოსკოვი — 436 ქულა. საქართველოს გუნდი 433,6 ქულით მეხუთე ადგილზეა.

დღევანდელი სტარტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიდი მძლეოსნური ასპარეზობა. ლუჟნიკში გაიმართა საკვალიფიკაციო შეხვედრები ესტაფეტაში ბადრის ტყორცნაში, 3 ათას მეტრზე წინაღობებით რბენაში, შუბის ტყორცნაში, სამხტომში, 1.500 მეტრზე რბენაში. ბრძოლაში ჩაებნენ აგრეთვე მძლეოსანი ხუთეულები ქალები, შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის არიან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები, რეკორდსმენები. ასპარეზობა მიმდინარეობს ახალ ჩინებულ სარბენ ბილიკებზე, მძლეოსნურ სექტორებზე. ქალთა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე წინასწარ შეხვედრებში წარმატებით გამოვიდნენ და ფინალის საგზურები მოიპოვეს მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, ყაზახეთის, უკრაინის, ლატვიის, ბელორუსიის და ტაჯიკეთის გუნდებმა. საუკეთესო დრო — 74,9 წამი აჩვენეს მოსკოველებმა.

1500 მეტრზე რბენის ფინალში მოხვდნენ ბელორუსიის, ყირგიზეთის, მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, ლატვიისა და ყაზახეთის წარმომადგენლები. ვაჟთა ესტაფეტაში 4X400 მეტრზე ფინალური ჯგუფი შედგა რსფსრ-ის, ბელორუსიის, უკრაინის, მოსკოვის, საქართველოს, ლენინგრადის, ესტონეთისა და ყაზახეთის სპორტსმენებისაგან. საქართველოს მორბენლებმა ამ დისტანციაზე უჩვენეს დრო 3 წუთი და 11,5 წამი.

დღეს ძალოსანთა სტარტი მაღალი შედეგით აღინიშნა. უმჩატეს წონაში ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა უკრაინის გუნდის წარმომადგენელი ა. გნატოვი, მან აჭიმა 115 კილოგრამი. მისივე წინანდელი რეკორდი გადაჭარბებულია ნახევარი კილოგრამით.

პირველ დღეს კანოეთი 1.000 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრება მოიგო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ვ. მაკაროვმა. დრო — 4 წუთი და 47,31 წამი. ამავე დისტანციაზე ბაიდარკით (ორიანი) ასპარეზობაში უძლიერესი იყო ა. მატკავა — 3 წუთი 39,6 წამი. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე წინასწარ რბოლაში კანოეთი (ორიანი) ზ. ხოფერიამ — 4 წუთი და 17,90 წამი. ქალთა შორის 500 მეტრზე რბოლაში ბაიდარკით (ერთიანი) ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ლ. ლუცენკო მეოთხე იყო.

16 ივლისს კალათბურთელთათვის უკანასკნელისწინა დღე იყო. ფინალია და, ბუნებრივია, მეტოქეები იბრძვიან, რათა გაიუმჯობესონ სატურნირო მდგომარეობა. საქართველოს ქალთა გუნდი პირველ ფინალურ გუნდში ერთ-ერთი კოლექტივი იყო, რომელსაც დღეისათვის ნული ქულა ჰქონდა. უკანასკნელისწინა ტურში ისინი შეხვდნენ რსფსრ-ის ძლიერ კოლექტივს, რომელიც ორი ქულით საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. ეს მატჩი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 66:58 (36:30). ყველაზე მეტი ქულა — 22 ჩვენს გუნდს მოუტანა რუსკინამ. უკრაინის ვაჟთა გუნდი, რომელიც პირველ ფინალურ ჯგუფში ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია, დღეს შეხვდა ლიტვის გუნდს და გაიმარჯვა — 77:71. ლიტვის გუნდს ჯერ, არც ერთი ქულა არა აქვს და მეექვსე ადგილის კანდიდატია.

დღეს საქართველოს ვაჟთა გუნდის მეტოქე იყო ესტონეთის ნაკრები. მართალია, ქართველმა კალათბურთელებმა მოიგეს პირველი ტაიმი 39:36, მაგრამ მეორე ნახევარში ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდნენ — 69:73.

ვ. გაბელია.

სპორტი

ფეხბურთის ამბები

● **გუშინ** მოსკოვში გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი **ცსკა** და წლევანდელი გბთამაშების ლიდერი **კიევის „დინამო“**. საინტერესო ორთა ბრძოლა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 1:0.

● **გაიმართა** შეჯიბრების მორიგი ტური ფეხბურთში მეორე ჯგუფის (მეოთხე ზონა) გუნდებს შორის. სოხუმის „დინამომ“ დამარცხა კოსტრომის „სპარტაკი“, ფრედ დამთავრდა ტყიბულის „მეშახტე“ — ბათუმის „დინამოსთან“ და მახარაძის „მერცხალი“ — რიბინსკის „სატურნის“ შეხვედრები, გორელი ფეხბურთელები დამარცხდნენ ვლადიმირის „მოტორთან“.

სპორტული ქრონიკა

ბერლინი. სახელგანთქმულმა მოცურავემ **როლანდ ბამეისმა** (გდრ) აქ გამართულ შეჯიბრებაზე 100 მეტრი ბატერფლაის სტილით ზუსტად 56 წამში დაფარა და გაუმჯობესა ევროპის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ზურიხი. მაღალი სპორტული შედეგებით აღინიშნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსანთა შეჯიბრება: 20 წლის კ. კლოცმა 100 მეტრი 10,1 წამში გაირბინა, ხოლო 200 მეტრი 20, 5 წამში. 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა გ. კელერმა — 45,8 წამი. 8 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე გადახტა ახალგაზრდა სპორტსმენი ჰ. ბაუმგარტნერი.

რომი. ქალაქ ჰორიციაში გრძელდება ევროპის პირველობა ჭაბუკ კალათბურთელთა შორის. საბჭოთა სპორტსმენები ნახევარფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე იქნება იუგოსლავიის ნაკრები. შეხვედრა დღეს გაიმართება. უკანასკნელ წინასწარ შეხვედრაში ჩვენმა ჭაბუკებმა მოუგეს ესპანეთის ნაკრებს.

„ლიდი პრიზი“ მოგებულია

ვენა. საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ მოიპოვეს „ერების დიდი თასი“, მოიგეს მსოფლიო პირველობა ფარიკაობაში. მართალია, შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ საბჭოთა გუნდმა უკვე 66 ქულა შეაგროვა და მოწინააღმდეგეთათვის მიუწვდომელია. ჩვენმა მოფარიკაველებმა დამთავრებულ შვიდ სახეობაში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს.

საბჭოთა რაპირისტმა ქალებმა ფინალში ანგარიშით 9:6 მოუგეს უნგრელ სპორტსმენებს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. წუხელ გვიან ღამით დამთავრდა შეჯიბრების უკანასკნელი გუნდური ტურნირი დაშნით ბრძოლაში.

ს. კობაიძე — ფინალში

ვლადიმირი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის ფინიშზე თავი გამოიჩინა თბილისელმა სტუდენტმა ოსტატმა **ს. კობაიძემ.** დასკვნით ტურგაში მან ყველა მოწინააღმდეგის სძლია, პირველი ადგილი დაიკავა და ქალთა 31-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ჩემპიონატი ოქტომბერში სოჭში გაიმართება.

შეცდომის გამოძიებელი

ცაიტნოტი

განმეორდება თუ არა ლიტერატორთა ცენტრალური სახლში „სევილიის ვარიანტი?“ — ასეთი კითხვები დაებადათ ჭადრაკის მოყვარულებს, რომლებიც 16 ივლისს შეიკრიბნენ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეექვსე პარტიის სანახავად ტიგრან პეტროსიანსა და ვიქტორ კორჩნოის შორის. მათ რა თქმა უნდა, გაიხსენეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მეოთხე ფინალური მატჩი კელნელ სტუდენტთან რობერტ ჰიუბნერთან სევილიაში, სადაც პირველი ექვსი შეხვედრა უაღმით დამთავრდა.

მაგრამ ამ საღამოს მაყურებლებს პასუხი არ მიუღიათ. ორთაბრძოლა შეწყდა მას შემდეგ, რაც მეტოქეებმა გააკეთეს 41-41 სვლა.

გადადებულ პოზიციაში პეტროსიანს პაიკის სახით მატერიალური უპირატესობა აქვს, კორჩნოის, რომელიც თეთრებით თამაშობდა, ერთად ერთი კონტრშანსია მეშვიდე ჰორიზონტალზე წაწეული გამსვლელი პაიკი „ა“.

...მეშვიდე სვლაზე თეთრებმა ახალი ინდური დაცვის კლასიკურ ვარიანტში გამოიყენეს იშვიათი „კუ დ 2“. ეს მოწმობდა ლენინგრადელის აგრესიულ განზრახვას.

დადგა მომენტი, როცა 22-ე სვლაზე დიდოსტატებს მხოლოდ საათზე ოდნავ მეტი დრო რჩებოდათ.

ამ რთულ პირობებში პეტროსიანი გადავიდა იერიშზე მეფის ფლანგზე, კორჩნოი კი ლაზიერის ფლანგზე, სადაც პაიკების გაცვლის შემდეგ ხელთ იგდო ღია ხაზი „ც“ და ინარჩუნებდა მას, მიუხედავად ამისა, რომ გაიცვალა ორი ეტლი. მაგრამ დროის უკმარობამ თავი იჩინა, შავებმა მოახერხეს პაიკის მოგება.

მეტოქეებს რთული ანალიზი ელით. პეტროსიანი შეეცდება გამოძებნოს მოგების გზები, კორჩნოიმ კი უაღმის გზები.

კორჩნოიმ თავისი ორმოცდამეორე სვლა ჩაიწერა თორმეტი წუთის ფიქრის შემდეგ (საკვანძო).

* * *

გუშინ პეტროსიანი და კორჩნოი თამაშის განუახლებლად უაღმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში კვლავ საყოფმოა — 3:3. მეშვიდე პარტია დღეს გაიმართება. თეთრებით ითამაშებს პეტროსიანი.

ზეიმით და სიხარულით აღნიშნავენ აჭარის მშრომელები თავიანთი რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ქალაქებსა და სოფლებში იმართება სახალხო სეირნობანი, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულია რესპუბლიკა. ეს სურათი გუშინ ბათუმის ზღვისპირა პარკში გადაიღო ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ფლ. გინზბურგმა. გვიან ღამემდე გაისმოდა აქ სიმღერები, ცეკვებდა ერთნული კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდობა.

ნ. ბაკურაძე

გარდაიცვალა ... 1919 ... ბაკურაძე.

ნ. ბაკურაძე დაიბადა 1898 წელს ქ. თელავში მუშის ოჯახში. შრომითი საქმიანობა ბავშვობიდან დაიწყო. 1918 წელს გაწვეულ იქნა ჯარში. 1919 წელს თელავის არალეგალურმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ნ. ბაკურაძე აირჩია სამხედრო ორგანიზატორად. მენშევიკურმა მთავრობამ ნ. ბაკურაძე დააპატიმრა და მოათავსა ჯერ მეტეხის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ციხეში. 1920 წელს ის განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან და დაბრუნდა კახეთში, სადაც არჩეული იყო თელავის სამხედრო ბოლშევიკური კომიტეტის წევრად.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ნ. ბაკურაძე სამეურნეო სამუშაოზეა. 1924-1929 წლებში მუშაობდა თელავის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ. 1929-1932 წლებში — რაიონის საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის, შემდეგ რაიკომშკავშირის თავმჯდომარედ.

1932 წლიდან ნ. ბაკურაძე თბილისშია სხვადასხვა ხელმძღვანელ პასუხსაგებ სამუშაოზე. იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ნ. ბაკურაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

უსულგულონი

გარდაბნის რაიონულ საავადმყოფოში მძიმედ დაშავებული 3 წლის ბავშვი მიიყვანეს. მისი მდგომარეობა უიმედო იყო და მალე პატარა ეხტიბარ ისმაილოვი გარდაიცვალა.

როდესაც ეს ამბავი გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას აცნობეს, მილიციის მუშაკები მაშინვე გაეშურნენ სოფელ ულიანოვკაში მცხოვრებ მამედ აბდულრახმანოვის ბინაზე, რომელსაც ყაზახიდან სტუმრად ყავდა წამოყვანილი პატარა ბიკუნა. როგორც აბდულრახმანოვების ოჯახმა, ასევე მოელმა სოფელმა ერთხმად განაცხადა: ბავშვი სახლის აივნიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხაო.

გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსსის მოადგილე ა. გოგოლაძე, პროკურატურის გამომძიებელი გ. პაიჭადე, უფროსი ინსპექტორი სისხლის სამართლის სამმართველოს ინსპექციის, შემდეგ რაიკომშკავშირის თავმჯდომარე.

1932 წლიდან ნ. ბაკურაძე თბილისშია სხვადასხვა ხელმძღვანელ პასუხსაგებ სამუშაოზე. იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ნ. ბაკურაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

... ...

... ...

... ...